

საქართველოს კანონი

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის
(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №13(20), 1999 წელი, მუხ. 52) 38-ე მუხლის
მე-13 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13¹ პუნქტი:

„13¹. საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ამ მუხლის მე-13
პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება საქართველოს ფინანსთა
სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ
პირზე – შემოსავლების სამსახურზე.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი